მარცხი აუტსაიდერთან

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 25 აპრილი.

“დინამო” (მინსკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (0:1).

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, ბელოვი, გრებნევი, ვორონინი, პროკოპენკო (კორბუტი), ტიმოფეევი (კურნენინი), ბოგოვიკი, პუდიშევი, ბაიდაჩნი, ვასილევსკი.

თბილისი: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი (ჩივაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია, ესებუა (წერეთელი).

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია გრებნევი.

დუბლიორები – 0:0.

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის მატჩები თბილისის “დინამომ” სტუმრად ითამაშა და ორივეჯერ მისი მოწინააღმდეგე იყო “ასპროცენტიანი” აუტსაიდერი: ლენინგრადში – “ზენიტი”, მინსკში – “დინამო”.

და აუტსაიდერებმა სწორედ თბილისელებთან შეხვედრებში “მოითქვეს სული”: ლენინგრადელებმაც და მინსკელებმაც 2–2 ქულით შეავსეს თავიანთი ერთობ მოკრძალებული მარაგი, ჩვენი გუნდი კი მგზავრობიდან 0 ქულით დაბრუნდა, დასანანი მარცხია!

მატჩი მინსკში მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. დასაწყისში მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რომლებსაც შედეგი არ მოჰყოლია, თბილისელებმა კი 27–ე წუთზე გათამაშებული თავისუფალი დარტყმა გოლით დაამთავრეს (მაჩაიძე).

შესვენების შემედეგ მინსკელთა შეტევები უფრო შედეგიანი გამოდგა. 59–ე წუთზე პროკოპენკომ 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა, გოგია მისწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეძლო მისი აღება – 1:1. 75–ე წუთზე იმავე პროკოპენკომ კარგად გადააწოდა ვასილევსკის, რომელმაც მეორედ აიძულა თბილისელთა მეკარე ბადიდან გამოეტანა ბურთი.

მატჩის დასასრულს სტუმრებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს ისინი. თბილისის “დინამო” ზედიზედ მეორედ დამარცხდა.

“ლელო”, 27 აპრილი, 1976 წ.